

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა მეწეგმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

აუდიტორად დანიშვნა

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ შპს დაჩი 98-თან გაფორმებული, 2020 წლის 12 მარტის ხელშეკრულების # 12/03/001-2020, ასევე 2020 წლის 12 მარტის გარიგების წერილის საფუძველზე, იმისათვის რომ ჩაგვეტარებინა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აუდიტის გარიგებაში დაკავების ჯამური უწყვეტი პერიოდი შეადგენს 1 წელს, რომელიც შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდს მოიცავს.

გარდა ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურებისა, შპს დაჩი 98-თვის გაწეული არ გვაქვს სხვა არამარწმუნებელი მომსახურება. ჩვენ დამოუკიდებელი ვიყავით კომპანიისგან ჩვენი აუდიტის ჩატარების პროცესში.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,

თბილისი 0186, საქართველო

25 სექტემბერი, 2020 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2019	2018	2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	2,373,276	1,945,417	1,956,182
არამატერიალური აქტივები		-	-	151
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,373,276	1,945,417	1,956,334
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	1,917,720	2,080,492	1,309,410
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,980,162	1,535,976	1,499,004
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	485,804	540,720	610,980
სულ მიმდინარე აქტივები		4,383,686	4,157,188	3,419,394
სულ აქტივები		6,756,962	6,102,605	5,375,728
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები				
მესაკუთრეთა კაპიტალი				
სააქციო/საწესდებო კაპიტალი		48,400	48,400	48,400
დაგროვილი მოგება		5,851,471	5,329,254	5,112,811
სულ კაპიტალი		5,899,871	5,377,654	5,161,211
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	8	323,236	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		323,236	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული სესხები	8	260,955	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	242,780	651,562	168,102
საგადასახადო ვალდებულებები	10	30,120	73,389	46,415
სულ მიმდინარე ვალდებულებები		533,855	724,951	214,517
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		6,756,962	6,102,605	5,375,728

თეიმურაზ ვედიშვილი ტარიელ სოხაძე
 დირექტორი დირექტორი
 22.09.2020, თბილისი 22.09.2020, თბილისი


ლელა ჯაღმაიძე
 მთ. ბუღალტერი
 22.09.2020, თბილისი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	11	5,622,530	5,511,199
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(3,242,060)	(3,268,894)
საერთო მოგება		2,380,470	2,242,305
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(986,945)	(608,189)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	14	(14,213)	(22,241)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		1,379,312	1,611,875
საპროცენტო შემოსავალი	15	10,663	7,253
საპროცენტო ხარჯი		(203)	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი), ნეტო		(12,197)	(27,384)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	172,020	40,269
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	17	(25,146)	(83,123)
მოგება დაბეგვრამდე		1,524,449	1,548,890
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		1,524,449	1,548,890


 თეიმურაზ ვედიაშვილი
 დირექტორი
 22.09.2020, თბილისი






 ტარიელ სოხაძე
 დირექტორი
 22.09.2020, თბილისი


 ლელა ჯალმაიძე
 მთ. ბუღალტერი
 22.09.2020, თბილისი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	პარტნიორთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ
1 იანვარი, 2018	48,400	5,112,811	5,161,211
წლის წმინდა მოგება		1,548,890	1,548,890
დივიდენდის განაწილება		(1,332,447)	(1,332,447)
31 დეკემბერი, 2018	48,400	5,329,253	5,377,653
წლის წმინდა მოგება		1,524,449	1,524,449
დივიდენდის განაწილება		(1,002,232)	(1,002,232)
31 დეკემბერი, 2019	48,400	5,851,471	5,899,871





თეიმურაზ ვედიაშვილი ტარიელ სოხაძე
 დირექტორი დირექტორი
22.09.2020, თბილისი 22.09.2020, თბილისი 22.09.2020, თბილისი

ლელა ჯალდაიძე
 მთ. ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	1,524,449	1,548,890
არაფულადი კორექტირებები:		-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	12,386	41,504
ცვეთა და ამორტიზაცია	240,194	220,618
მარაგების გაუფასურება	78,725	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	248,424	-
სავაჭრო ვალდებულებების ჩამოწერა	(121,159)	-
საკუროს სხვაობებით გამოწვეული (მოგება)/ზარალი	12,197	27,384
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,995,216	1,838,396
ცვლილებები მარაგებში	84,047	(771,082)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(680,627)	(46,655)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(305,071)	473,754
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში	(43,269)	26,974
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,050,296	1,521,387
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(1,002,232)	(1,332,447)
სესხის აღება	584,906	-
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(417,326)	(1,332,447)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(680,439)	(251,205)
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(680,439)	(251,205)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა	(47,469)	(62,266)
საკუროს სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(7,447)	(7,994)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	540,720	610,980
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	485,804	540,720
თეიმურაზ ვედიშვილი	ტარიელ სოხაძე	ლელა ჯალმაიძე
დირექტორი	დირექტორი	მთ. ბუღალტერი
22.09.2020, თბილისი	22.09.2020, თბილისი	22.09.2020, თბილისი

შპს დაჩი-98

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

და აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	19
4. ძირითადი საშუალებები	20
5. მარაგები	21
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
8. მიღებული სესხები	22
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
10. საგადასახადო ვალდებულებები	22
11. შემოსავალი	22
12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	23
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23
14. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	23
15. საპროცენტო შემოსავალი	24
16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	24
17. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	24
18. ფინანსური და სხვა რისკების მართვა	24
19. ფუნქციონირებადობა	28
20. ბალანსის შემდგომი მოვლენები	28
21. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან	28
22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დაჩი 98-ის მენეჯმენტსა და მესაკუთრეებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს დაჩი 98-ის (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას 2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. შესაბამისი თარიღის მდგომარეობით ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია შესაბამისად 1,917,720; 2,080,492 და 1,309,410 ლარით.

ჩვენ არ დავსწრებივართ სალაროში არსებული ფულის ნაშთის ინვენტარიზაციას 2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. შესაბამისი თარიღის მდგომარეობით ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ნაღდი ფული სალაროში წარმოდგენილია შესაბამისად 11,414; 15,677 და 2,530 ლარით.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ სასაქონლო მატერიალურ მარაგებთან და სალაროში არსებულ ფულთან

დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს დაჩი 98-ს შესადარისი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიისა ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ

მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა და მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

აუდიტორად დანიშვნა

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ შპს დაჩი 98-თან გაფორმებული, 2020 წლის 12 მარტის ხელშეკრულების # 12/03/001-2020, ასევე 2020 წლის 12 მარტის გარიგების წერილის საფუძველზე, იმისათვის რომ ჩაგვეტარებინა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აუდიტის გარიგებაში დაკავების ჯამური უწყვეტი პერიოდი შეადგენს 1 წელს, რომელიც შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდს მოიცავს.

გარდა ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურებისა, შპს დაჩი 98-თვის გაწეული არ გვაქვს სხვა არამარწმუნებელი მომსახურება. ჩვენ დამოუკიდებელი ვიყავით კომპანიისგან ჩვენი აუდიტის ჩატარების პროცესში.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,

თბილისი 0186, საქართველო

25 სექტემბერი, 2020 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2019	2018	2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	2,373,276	1,945,417	1,956,182
არამატერიალური აქტივები		-	-	151
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,373,276	1,945,417	1,956,334
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	1,917,720	2,080,492	1,309,410
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,980,162	1,535,976	1,499,004
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	485,804	540,720	610,980
სულ მიმდინარე აქტივები		4,383,686	4,157,188	3,419,394
სულ აქტივები		6,756,962	6,102,605	5,375,728
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები				
მესაკუთრეთა კაპიტალი				
სააქციო/საწესდებო კაპიტალი		48,400	48,400	48,400
დაგროვილი მოგება		5,851,471	5,329,254	5,112,811
სულ კაპიტალი		5,899,871	5,377,654	5,161,211
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	8	323,236	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		323,236	-	-
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული სესხები	8	260,955	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	242,780	651,562	168,102
საგადასახადო ვალდებულებები	10	30,120	73,389	46,415
სულ მიმდინარე ვალდებულებები		533,855	724,951	214,517
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		6,756,962	6,102,605	5,375,728

თეიმურაზ ვედიშვილი

დირექტორი

____.____.2020, თბილისი

ტარიელ სოხაძე

დირექტორი

____.____.2020, თბილისი

ლელა ჯაღმაიძე

მთ. ბუღალტერი

____.____.2020, თბილისი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	11	5,622,530	5,511,199
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12	(3,242,060)	(3,268,894)
საერთო მოგება		2,380,470	2,242,305
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(986,945)	(608,189)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	14	(14,213)	(22,241)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		1,379,312	1,611,875
საპროცენტო შემოსავალი	15	10,663	7,253
საპროცენტო ხარჯი		(203)	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი), ნეტო		(12,197)	(27,384)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	172,020	40,269
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	17	(25,146)	(83,123)
მოგება დაბეგვრამდე		1,524,449	1,548,890
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		1,524,449	1,548,890

თეიმურაზ ვედიაშვილი

დირექტორი

____.____.2020, თბილისი

ტარიელ სოხაძე

დირექტორი

____.____.2020, თბილისი

ლელა ჯაღმაიძე

მთ. ბუღალტერი

____.____.2020, თბილისი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	პარტნიორთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ
1 იანვარი, 2018	48,400	5,112,811	5,161,211
წლის წმინდა მოგება		1,548,890	1,548,890
დივიდენდის განაწილება		(1,332,447)	(1,332,447)
31 დეკემბერი, 2018	48,400	5,329,253	5,377,653
წლის წმინდა მოგება		1,524,449	1,524,449
დივიდენდის განაწილება		(1,002,232)	(1,002,232)
31 დეკემბერი, 2019	48,400	5,851,471	5,899,871

თეიმურაზ ვედიშვილი
დირექტორი
____.____.2020, თბილისი

ტარიელ სოხაძე
დირექტორი
____.____.2020, თბილისი

ლელა ჯაღმაიძე
მთ. ბუღალტერი
____.____.2020, თბილისი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	1,524,449	1,548,890
არაფულადი კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	12,386	41,504
ცვეთა და ამორტიზაცია	240,194	220,618
მარაგების გაუფასურება	78,725	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	248,424	-
სავაჭრო ვალდებულებების ჩამოწერა	(121,159)	-
საკურსო სხვაობებით გამოწვეული (მოგება)/ზარალი	12,197	27,384
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	1,995,216	1,838,396
ცვლილებები მარაგებში	84,047	(771,082)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(680,627)	(46,655)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(305,071)	473,754
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში	(43,269)	26,974
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,050,296	1,521,387
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(1,002,232)	(1,332,447)
სესხის აღება	584,906	-
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(417,326)	(1,332,447)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(680,439)	(251,205)
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(680,439)	(251,205)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა	(47,469)	(62,266)
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულისა და ფულის ექვივალენტებზე	(7,447)	(7,994)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	540,720	610,980
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	485,804	540,720

თეიმურაზ ვედიშვილი

ტარიელ სოხაძე

ლელა ჯაღმაიძე

დირექტორი

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

_____._____.2020, თბილისი

_____._____.2020, თბილისი

_____._____.2020, თბილისი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „დაჩი-98“ დაფუძნდა 1998 წლის 26 აგვისტოს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 200043265.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ვ.ნინუას ქ. N 3.

შპს დაჩი-98-ის დამფუძნებლები არიან:

ტარიელ სოხაძე (პ/ნ 01023002221) – 50%

თეიმურაზ ვედიაშვილი (პ/ნ 01030002912) – 50%

კომპანიის დირექტორები და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან:

ტარიელ სოხაძე (პ/ნ 01023002221) და თეიმურაზ ვედიაშვილი (პ/ნ 01030002912).

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს თერმო ჩაჩების, ლამინირებული ჩაჩების, ცქრიალა ღვინოების მიუზლის, ღვინისა და კონიაკის საცობების წარმოება-რეალიზაცია. ასევე კომპანია ეწევა ალუმინის საცობების რეალიზაციას. მისი პროდუქტებია: კორპები, საცობები, კონტეინერების თავსახურები და სხვა სახის ხუფები (მიუზლი, ლენტა, ალუმინის საცობი, ჩაჩი).

დარეგისტრირებული ფილიალები არ აქვს.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2019	31 დეკ 2018	01 იან 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.2095	3.0701	3.1044

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალს ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალს ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	წლიური ამორტიზაციის ნორმა
შენობა-ნაგებობები	40 წელი
მანქანა-დანადგარები	5-12 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5-12 წელი
ავეჯი და ინვენტარი	3-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-8 წელი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ფოლგას, კორპის საცობებს და საღებავებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

შპს დაჩი-98

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	დაუმონტა- ჟებული დანადგარი	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2018	40,720	221,504	2,764,644	57,099	21,455	90,820	12,302	3,208,544
შემოსვლა			242,241	6,670	2,294			251,205
გასვლა			(985)			(40,782)		(41,767)
ისტორიული ღირებულება 31.12.2018	40,720	221,504	3,005,900	63,769	23,749	50,038	12,302	3,417,982
შემოსვლა	572,965		8,034	6,364		92,700	377	680,440
გასვლა			(289,282)	(43,019)	(8,129)	(32,938)		(373,369)
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	613,685	221,504	2,724,651	27,113	15,620	109,800	12,679	3,725,053
დაგროვილი ცვეთა 01.01.2018	-	(44,000)	(1,096,296)	(48,455)	(16,159)	(47,452)	-	(1,252,362)
ცვეთა		(5,463)	(210,079)	(3,275)	(1,801)			(220,618)
გასულების დაგროვილი ცვეთა						414		414
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	-	(49,462)	(1,306,375)	(51,730)	(17,960)	(47,038)	-	(1,472,565)
ცვეთა		(5,463)	(220,008)	(3,370)	(1,968)	(9,385)		(240,194)
გასულების დაგროვილი ცვეთა			279,426	42,584	8,034	30,938		360,983
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	-	(54,925)		(12,515)	(11,893)	(25,485)	-	(1,351,776)
წმინდა საბალანსო ღირ.-ბა 01.01.2018	40,720	177,504	1,668,348	8,644	5,296	43,368	12,302	1,956,182
წმინდა საბალანსო ღირ.-ბა 31.12.2018	40,720	172,042	1,699,524	12,039	5,789	3,000	12,302	1,945,417
წმინდა საბალანსო ღირ.-ბა 31.12.2019	613,685	166,579	2,724,651	14,598	3,727	84,315	12,679	2,373,276

შენიშვნა 4.1: კომერციული ბანკის სასესხო ვალდებულებების უზრუნველყოფას წარმოადგენს მიწის ნაკვეთები 2019 წლის ბოლოს 613,685 ლარის ღირებულებით და საწარმოო შენობა-ნაგებობები 2019 წლის ბოლოს 166,579 ლარის წმინდა საბალანსო ღირებულებით.

შპს დაჩი-98

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5. მარაგები

კომპანიის მარაგები 2017, 2018, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019	2018	2017
ფოლგა	673,377	878,218	402,787
საღებავი	475,963	372,964	253,345
კორპის საცობი	470,186	309,288	454,870
ალუმინის და მეტალის თავსახური	54,592	40,745	85,829
სატვიფრი კილიტა	52,270	36,384	8,850
პოლისტიროლი	45,369	33,126	22,253
პოლიეთილენის ფირი	64,345	36,397	35,212
მუყაოს ყუთი	20,336	5,428	5,897
წებო	13,124	26,873	21,340
პოლიეთილენის პარკები	1,877	1,660	1,321
ბოთლის ჩაჩი	-	1,059	1,153
საწვავი	441	1,341	2,145
მარაგები გზაში (კორპის საცობი)	-	294,435	-
სხვა მარაგები	45,840	42,574	14,408
	1,917,720	2,080,492	1,309,410

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017, 2018, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019	2018	2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,120,343	1,251,646	1,191,979
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	632,116	127,052	262,566
ექსპორტი	212,683	138,128	30,359
საიჯარო შემოსავალი	15,020	19,150	14,100
	1,980,162	1,535,976	1,499,004

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2017, 2018, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019	2018	2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	11,414	15,677	2,530
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	407,343	500,688	578,332
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	67,047	24,355	30,118
	485,804	540,720	610,980

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

8. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2017, 2018, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019	2018	2017
გრძელვადიანი სესხები	323,236	-	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	260,955	-	-
	584,191	-	-

შენიშვნა 8.1: გრძელვადიანი სესხი მიღებულია ადგილობრივი კომერციული ბანკისგან, მიზნობრივი თანადაფინანსება ხდება ა(ა)იპ "სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო"-სგან, "შელავათიანი აგროკრედიტი"-ს პროექტის ფარგლებში. კრედიტის მიზანია ძირითადი საშუალებების შესყიდვა, კრედიტის ოდენობაა 1,280,000 ლარი. სესხი გაიცემა ტრანშებად, პირველი ტრანში 384,356.70 ლარი. შემდგომი ტრანშების ოდენობის და მოცულობის განსაზღვრა ხდება მსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე. ჯამში 399,000 ევრო გაცემის დღეს ბანკში არსებული კომერც. კურსის შესაბამისად.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017, 2018, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019	2018	2017
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,645	37,213	17,043
სავაჭრო ვალდ. უცხოელი მომწოდებლების წინაშე	201,941	586,270	120,219
მიღებული ავანსები	26,194	28,079	30,840
	242,780	651,562	168,102

10. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით და ძირითადად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულებისგან.

11. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი 2018, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019	2018
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	4,964,810	4,966,860
შემოსავალი ექსპორტიდან	657,720	544,339
	5,622,530	5,511,199

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 2018, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019	2018
შემენილი საქონელი	1,017,645	1,279,453
ძირითადი მასალების დანახარჯები	1,830,889	1,539,593
დამხმარე მასალების დანახარჯები	47,400	52,680
პირდაპირი ხელფასი	302,288	349,450
რემონტის დანახარჯები	43,687	47,622
სხვა ხარჯები	152	96
	3,242,060	3,268,894

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	260,178	273,994
ცვეთა და ამორტიზაცია	240,324	220,769
გაუფასურების ხარჯი	327,149	3,476
კომუნიკაციის ხარჯები	9,240	8,259
კომუნალური ხარჯები	39,858	40,523
შენობის რემონტის ხარჯი	40,855	12,888
საოფისე ინვენტარი	14,022	8,315
თანამშრომელთა უსაფრთხოების დაზღვევა	1,044	-
საიჯარო ქირა	1,800	1,800
საკომისიო ხარჯი	6,710	28,000
საკონსულტაციო ხარჯები	7,597	8,810
სხვა ხარჯები	38,168	1,356
	986,944	608,189

14. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები

კომპანიის რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები 2018, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019	2018
რეკლამის ხარჯები	773	7,739
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	438	513
ავტო ტრანსპორტის ხარჯი	5,049	4,759
საწვავის ხარჯი	7,953	9,230
	14,213	22,241

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

15. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალს შეადგენს შემნახველ ანაბარზე დარიცხული პროცენტი.

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2018, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019	2018
შენობის იჯარიდან მიღებული შემოსავალი	5,847	5,805
რეალიზებული ძირ. საშუალებებიდან მიღებული შემოსავალი	37,179	34,464
ვალის პატიებიდან მიღებული შემოსავალი	128,994	-
	172,020	40,269

17. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

კომპანიის სხვა არასაოპერაციო ხარჯი 2018, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019	2018
ძირითადი საშუალებების დანახარჯები (თვითღირებულება)	12,256	40,368
საპატრულო ჯარიმა	1,486	170
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	11,404	42,585
	25,146	83,123

18. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო რისკები, ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისათვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგება კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიმდიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	0-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სესხი ბანკისგან	63,799	197,156	323,236		584,191
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	198,258	5,082	12,736	510	216,586
სულ ფინანსური ვალდებულებები	262,057	202,238	335,972	510	800,777
ლიკვიდურობის სხვაობა	996,306	158,576	(136,319)	14,510	1,033,073
აკუმულირებული					
ლიკვიდურობის სხვაობა	996,306	1,154,882	1,018,563	1,033,073	

კომპანიის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ დაუდისკონტირებელი ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდურობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე, ფინანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება მათ საბალანსო ღირებულებას:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

კომპანიის ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბერი:

	0-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	485,804				485,804
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	717,699	250,287	152,357		1,120,343
მოთხოვნები ექსპორტიდან	54,860	110,527	47,296		212,683
საიჯარო მოთხოვნები				15,020	15,020
სულ ფინანსური აქტივები	1,258,363	360,814	199,653	15,020	1,833,850

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთებიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სესხი ბანკისგან	384,357		199,834	584,191
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,645		201,941	216,586
სულ ფინანსური ვალდებულებები	399,002	-	401,775	800,777
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	418,757	36,351	30,696	485,804
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,120,343			1,120,343
მოთხოვნები ექსპორტიდან			212,683	212,683
საიჯარო მოთხოვნები	15,020			15,020
სულ ფინანსური აქტივები	1,554,120	36,351	243,379	1,833,850

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის, ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და მენეჯმენტის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისთვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით.

2019 წლის 31 დეკემბრისათვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია.

	ლარი/აშშ დოლარი +20%	ლარი/აშშ დოლარი -20%	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	(7,270)	7,270	31,679	(31,679)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით, როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, და ა.შ.

საბაზრო მოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში არ იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია;
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ;
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- კონტროლებისა და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასანეიტრალებლად საჭირო კონტროლების და პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

19. ფუნქციონირებადობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე. კომპანიის საქმიანობას ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში საფრთხე არ ემუქრება.

20. ბალანსის შემდგომი მოვლენები

აღებული ვალდებულებები:

კომპანიამ 2020 წლის 22 ივნისს აითვისა სესხის მორიგი ტრანში 409,973 ლარის ღირებულებით.

პანდემიის გავლენა:

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID 19). 2020 წელს ვირუსი გავრცელდა მსოფლიოს მასშტაბით და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა. აღნიშნული ვირუსის ფართოდ გავრცელებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ბიზნეს სექტორზე, თუმცა კომპანიის საქმიანობაზე და მით უმეტეს მისი ფუნქციონირებადობის უნარზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

21. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;

ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;

ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

შპს დაჩი-98

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემული ქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 90,510ლ.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 79,750ლ.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს დაჩი 98-ის დირექტორებმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცეს და მისი გამოცემის ნებართვა გასცეს 2020 წლის 22 სექტემბერს.